ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1370511

ნომერი: AR1234451

თარიღი : 03.07.2014

გაცემის თარიღი : 04.07.2014

გაცნობის თარიღი : 10.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარგიანი , N 2-4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მურმან ბებიაშვილი პ/ნ 18001015198
- ზესტაფონი დ. შორაპანი ფარნავაზ მეფის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 3 ივლისს #AR1234451 განცხადებით მომართა იბა „მარგიანი 2007“–ის თავმჯდომარემ მურმან ბებიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მარგიანის ქუჩა N2-4–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N01.14.02.022.038) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა მანსარდის ფართი-285.5 კვ.მ ნაცვლად დამხმარე ფართის-285.5 კვ.მ–ისა და ასევე შეცდომით დაფიქსირდსა საზაფხულო ფართი, რომელიც ნაცვლად 530.9 კვ.მ–ისა შეადგენს 524.9 კვ.მ.-ს.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია მანსარდის სართულს არ ითვალისწინებს და 285,5 კვ.მ არის დამხმარე ფართის მაჩვენებელი, ასევე საზაფხულო ფართი შეადგენს 524.9 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს იბა „მარგიანი 2007“–ის თავმჯდომარის მურმან ბებიაშვილის 2014 წლის 3 ივლისის #AR1234451 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებაში. კერძოდ, ნაცვლად მანსარდის ფართი – 285.5 კვ.მ–ისა დაფიქსირდეს დამხმარე ფართი – 285.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობი ნაცვლად 530.9 კვ.მ–ისა დაფიქსირდეს 524.9 კვ.მ;
3. 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 24 ივნისის №1346792 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.